

ანგარიში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს შესახებ, ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებებთან დაკავშირებით

ჩვენ განვახორციელეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ ჩამოთვლილი პროცედურები შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს (შემდგომში საფეხბურთო კლუბი) მიერ ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, როგორც ჩამოყალიბებულია ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებების ცხრილში (იხ. დანართი 1). ჩვენი დაქირავება მოხდა დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (ISRS 4400) შესაბამისად, რომელიც გამოიყენება შეთანხმებული პროცედურების შესასრულებლად დაქირავებისას. პროცედურები განხორციელდა უშუალოდ საფეხბურთო კლუბისთვის მის სალიცენზიო განაცხადთან დაკავშირებით და შეჯამდა შემდეგნაირად:

სამუშაოს მოცულობა

ჩვენი სამუშაო შედგებოდა შემდეგი პროცედურებისგან:

1. ტრანსფერების ცხრილში მოცემული ჯამური თანხის შეჯერება 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულებების“ თანხასთან.
2. ტრანსფერების ცხრილის არითმეტიკული სიზუსტის შემოწმება.
3. ყველა ან გარკვეული რაოდენობის ფეხბურთელების ტრანსფერის/იჯარის შერჩევა, შესაბამისი ხელშეკრულებების შედარება ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან და შერჩეული ტრანსფერების/იჯარის მონიშვნა.
4. ტრანსფერის ყველა გადახდის ან შერჩევითი შემოწმება, რაც მოიცავს მათ შედარებას ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან და შერჩეული გადახდების მონიშვნას.
5. თუ, 2020 წლის 6 ოქტომბრის მდგომარეობით არსებობს გადახდის ვალდებულება, რომელიც ეხება გასული წლის 2020 წლის 31 აგვისტომდე განხორციელებულ ტრანსფერს, უნდა გაირკვეს 2020 წლის 6 ოქტომბრამდე:
 - (i) მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადახდის გადავადების შესახებ;
 - (ii) ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი/სასამართლო პროცესი;
 - (iii) გატარდა თუ არა ყველა გონივრული ზომა.
6. გადახდასთან დაკავშირებულ ყველა ან შერჩევით საბანკო ამონაწერების შემოწმება.

ქვემოთ გიდგენთ ანგარიშს ჩატარებული პროცედურების და შედეგების შესახებ:

1. ტრანსფერების ცხრილში **(დანართი 1)** მოცემული ჯამური თანხა შევაჯერეთ 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულების“ თანხასთან. შეუსაბამობა არ გამოვლენილა.
2. ჩვენ შევამოწმეთ ტრანსფერების ცხრილის არითმეტიკული სიზუსტე. შეუსაბამობა არ გამოვლენილა.
3. ჩვენ დავადგინეთ რომ, 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბში ტრანსფერით არ გადმოსულა არც ერთი ფეხბურთელი **(დანართი 1)**.
4. მე-4 საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ვინაიდან 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ტრანსფერების ცხრილში არ არის წარმოდგენილი ტრანსფერებით გადმოსული არც ერთი ფეხბურთელი განსაზღვრული პროცედურა შეუსაბამოა.
5. მე-5 და მე-6 საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ 2020 წლის 6 ოქტომბრის მდგომარეობით არ არსებობს გადახდის ვალდებულება, რომელიც ეხება გასული წლის 2020 წლის 31 აგვისტომდე განხორციელებულ ტრანსფერს. შესაბამისად განსაზღვრული პროცედურები შეუსაბამოა;

ანგარიშს თან ერთვის ასევე 2020 წლის 22 სექტემბრით დათარიღებული ცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან, სადაც აღნიშნულია რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის უცნობია სხვა კლუბების მიმართ სატრანსფერო დავალიანების შესახებ **(დანართი 2)**.

რადგანაც ზემოაღნიშნული პროცედურები არ წარმოადგენს აუდიტის ან შემოწმების შეთანხმების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებულ არც აუდიტს და არც შემოწმებას, ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე რწმუნებულებას საგადასახადო ანგარიშებთან მიმართებაში 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

რომ განგვეხორციელებინა დამატებითი პროცედურები ან ჩაგვეტარებინა აუდიტი ან შემოწმება აუდიტის ან შემოწმების შეთანხმების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესაძლოა, ყურადღება გაგვემახვილებინა სხვა საკითხებზე, რაზეც თქვენ მოგახსენებდით.

ჩვენი მოხსენება ისახავს მხოლოდ წინამდებარე ანგარიშის პირველ პარაგრაფში მოცემულ მიზანს და განკუთვნილია მხოლოდ თქვენი ინტერესისთვის და არ გამოიყენება სხვა რაიმე მიზნით ან სხვა რომელიმე მხარისთვის გადასაცემად. წინამდებარე ანგარიში ეხება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ანგარიშგებებსა და პუნქტებს და არ ვრცელდება შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს რომელიმე ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში.

მიხეილ აბაიაძე / პარტნიორი / სერტიფიცირებული აუდიტორი

07 ოქტომბერი, 2020 წელი
თბილისი, საქართველო

